საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 1 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთი ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ფოსტით 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

[illegible] ხელის მოწერის შესახებ [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] кн. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 10—62.

№ 261 — ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 261

ღრმად დამწუხრებულნი დედა სალომე, შვილები: აკაკი, დიომიდე, სევერიანე, დები: ნინა და პაშა, ბიძაშვილები: ნიკოლოზ და მელიტო ჩანჩალეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 26 ნოემბერს დამის 2 ნახ. საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი პირველი შვილი და ლანარჩენების და

ელენე კონსტანტინეს ასული ჩანჩალეიშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას 1 დეკემბერს, შუადღის 12 საათ. საკუთარ ბინიდან. ნაძალადევი—ლიტკინის ქუჩა № 24. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

კვირას, 1 დეკემბერს,

ლევან გიორგის ძე წერეთლის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები. წირვის დასაწყისი 10 საათზე. პანაშვიდი $11^1/_2$ საათზე.

ოთხ ქრისტეშობისთვეს. (ახალი სტ.) ქ. გორში საკრებულო ტაძარში საღამოს 6 საათზე, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა უდროოდ გარდაცვალებულის

ბარბარე ვასილის ასულის ლოლაძის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, მეუღლე მისი მათე გრიგოლის ძე.

ქიონია სვიმონის ასული, სპირიდონ ოტიას ძე შვილებით: თამარი, გრიშა, ირა, ვავა, ნინო და დომენტი ოტიას ძენი ბენდუქიძენი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ხიძის

ლუკა აპოლონის ძე სურგულაძის

უდროოთგარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღეს, 1 დეკემბერს, ს. ხვანჭკარა (ქვემო რაჭა.)

ელისაბედ ივანეს ასული სხირტლაძისა თავის შვილით და შვილიშვილით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, დილის 12 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მისი საყვარელ შვილიშვილის

ქ ი კ ო ჩ ქ ა ს

სულის მოსახსენებლად.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე რებეკა, შვილები ბორისი და შოლია, ძმა დომენტი, რძალი პოლინე, ძმისწული მაკარი გვარჯალაძეები, სიმამრი ლაზარე, სიდედრი ბაბინე, ცოლის ძმა ვალიკო, ცოლის და შუშანიკა და გერევანი ფირცხელაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ლონგინოზ ანდრიას ძე გვარჯალაძის

უდროოდ დაკარგვას. მიცვალებულის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდა 30 ნოემბერს ნაშუადღევს 2 საათზე. ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში.

(2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ბარბარე გაბრიელის ასული კლიმიაშვილისა, ანასტასია გედევანიშვილისა, მარიამ ტუსიშვილისა, ლიუბა, მიხეილ და გიორგი კლიმიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის ძვირფასის ძმის და უკანასკნელთა დაუვიწყარ ბიძის

იოსები (სოსო) გაბრიელის ძის ზანდუკელის

გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს, 1 დეკემბერს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 საათზე ბათუმის ქ. № 18. წირვა დიდუბის ეკლესიაში.

ბარნაბ გიორგის ძე, ვიქტორ, ვასო, რახილ, თამარა და შუშანიკა ბარნაბის ძენი ლლონტები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარ მეუღლის და უკანასკნელნი დედის გარდაცვალებას

ელისაბედ ლლონტისას

დაკრძალვა მოხდება კვირას, 1-ლ დეკემბერს, ს. დვაბზუში, ოზურგ. მაზრ.

დღეს, 1 დეკემბერს, დილის 10 საათზე თფილისის სახელმწიფო (ქართულ) უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია თფილისში მყოფ ყველა ქართველ სტუდენტთა

კ რ ე ბ ა

საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის შესრულების გამო.

წარმოთქმულ იქნება სიტყვები. დასასრულ პროცესია გაემართება პარლამენტისაკენ.

თფ. სახელმწ. უნივერსიტ. სტუდენტთა გამგეობა.

## დამოუკიდებელი საქართველო

ნახევარი წელიწადი შესრულდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. ნახევარი წლის ჩვილია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ მას უკვე უჩანს ნიშნები სიდიდისა და ძალის გამაგრებისა. რამდენი მტერი გინდა, რომ მას არ ჰყავდეს. მგონი იმდენი თმაც არ იქნება თავზე. მას ყველა მხრიდან ებრძვიან. შინ და გარეთ, რეაქციონერი და „სოციალისტი", ავი და კარგი...

რა დაუშავა ამ პატარა რესპუბლიკამ? რათ აუხირდენ მას ასე გააფთრებით ეს მტერნი და „მოყვარენი"?

მიზეზი ბევრია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ გავს სხვა მეზობლებს. ეს შეგვიძლია თამამათ და გულახდილათ გამოვაცხადოთ. იგი პირველ ყოვლისა მართლა დემოკრატიული ქვეყანაა. როცა მის გარშე მთ თვალუწვდენელ რუსეთის სივრცეზე დემოკრატიულ დაწესებულებებს სპობენ და ანგრევენ, იგი ასვენებს აშენებს. რუსეთს ერთობა წარსულის სიზმრათ გადაქცევია, ჩვენთვის კი ის მომავალი იმედია, რუსეთში ანარქია და განუწყვეტელი სისხლის ნაკადულთა დენაა, ჩვენში კი წესიერ სახელმწიფოს სახე გვაქვს მიღებული.

ზოგს ის არ უჯდება ჭკუაში, რომ ჩვენ ევროპის დემოკრატიაც თანაგრძნობით გვეხმაურება, სადაც კი ჩვენს ხმას მივაწვდენთ. სოციალისტური მთავრობა უდგას სათავეში ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას და იგი არ მისდევს ძველ ბურჟუაზიულ შაბლონით შემუშავებულ გზას... იგი პირდაპირ დემოკრატიული ენით ელაპარაკება მტერსა და მოყვარეს, და ეს დემოკრატიზმი ვერ მოუნელებიათ იმათ, ვინც იმპერიალიზმის მოტრფიალეა, ვინც ბურჟუაზიულ აზროვნებით გაჟღენთილია.

ჩვენი მთავრობა ინტერნაციონალური იდეების მატარებელია და ყველა ჯურის ნაციონალისტებს გულში ლახვარივით ესობა—რომ იგი ერთა შორის მტრობის ნაცვლად ერთა დამეგობრებისათვის სდებს გადამწყვეტ ნაბიჯებს.

და აი ამიტომ სასინებს გარეშემო ეს ყველანი ხმა შურისა, მტრობისა და ჭორიკანობისა.

ჩვენი მთავრობა, როგორც მიმდევარი მარქსიზმისა აღიარებს და ანხორციელებს ერთა თავისუფლების პრინციპს: ძველი რუსეთის ბატონობით გაზვიადებულთ არ ჰსურთ ამ თავისუფლების მიერ თავისი ბატონობის შეკვეცა მოითმინონ, და ისინი იარაღით, დარბევით, ლანძღვით გვემუქრებიან.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკა ყველა ამ მტერსა და მოძულეს უმკლავდება.

მას აქვს საამისო მორალური ძალა, აქვს ფიზიკური საშუალებაც. მთელი დემოკრატია მას ერთსულოვნათ უჭერს მხარს. და ეს გარემოება—წყარო მისი ძლიერებისა, არის იმავე დროს მიზეზი მის წინააღმდეგ ყველა არა დემოკრატიული ელემენტების ამხედრების.

წმინდა კლასიური თვალსაზრისით, ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მატარებელნი ვერ შეურიგდებიან დემოკრატიის ნაგებ ნაშენს, მის შემოქმედების ნაყოფს.

დიახ, ჩვენი რესპუბლიკა—ეს ღვიძლი შვილია ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი დემოკრატიის იგი მისი სისხლით და ოფლით აშენებულია. იგი მისი აღზრდა-გაწვრთნის ნაყოფია და თან მისი წინ სვლის და განვითარების საუკეთესო სკოლაა. დემოკრატიული რესპუბლიკა—ეს 20—30 წლის ოცნებით, ბრძოლით, ტანჯვის მონაპოვარია. იგი რევოლიუციის მადლის შემნარჩუნებელია, მასში ინახება ყოველივე, რაც დიდმა რევოლიუციამ მისცა ჩვენს მებრძოლ, რევოლიუციურ დემოკრატიას. დამოუკიდებელი რესპუბლიკა—ესაა განსახიერება ყველა იმის, რაც ჩვენთვის ძვირფასია, რაც ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა—ეს რევოლიუციის იდეების მატარებელია, ამ იდეების განმახორციელებელია იმ დროს, როცა გარშემო რეაქცია და ანარქია—ეს ორი ტყუპი ძმა, სისხლით შეღებილნი ძაძებში ხვევს თავისუფლებას.

დიახ სიმბოლოა თავისუფლების ჩვენი პატარა რესპუბლიკა და იგი მეტქსე თვეზე ერთი-ორად უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ვინემ გამოცხადების დღეს იყო.

მომავალშიც, იგი ჩვენი მხნე დემოკრატიის, მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელი ხალხის გულის ნადების გამომხატველი დარჩება, მისი იდეების მოსამსახურე, მისი ინტერესების დამცველი და ამით მტკიცე, შეურყევლათ ჩაუყრის მომავალს ბრწყინვალე წყობილებას, რომელიც საკაცობრიო იდეალებით არის გაშუქებული.

## დამოუკიდებლობა

ქ. კაუცკიმ, დიდი ხანია წამოაყენა ერი აუცილებელი პრინციპი: ერთი ერი—ერთი სახელმწიფო, აი საუკეთესო ფორმულა სახელმწიფოს აშენებისა. მაგრამ იმპერიალისტური ქვეყანა ამას არ დაგიდევდა. იქ ძლიერი იპყრობდა სუსტს და უკანასკნელთ ხშირათ სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა რომელიმე ძლიერი მეზობლისთვის შეეფარებინათ თავი, ამ რიგათ რუსეთს ბევრი ერი შეეკედლა, ბევრი თვით რუსეთმა ძალით „შემოიკედლა". ასე კაუცკის პრინციპის განხორციელება შეუძლებელი გახდა. ჩვენ ვამბობდით, ერს უფლება აქვს თავის ცხოვრება როგორც სურს, ისე მოაწყოს, მაგრამ, საქართველოს დემოკრატიას, უმეტესობით ჩვენ, არ გვაქვს ინტერესი ამ ქამათ ცალკე წასვლის, ან სეპარაციის... ჩვენ გვინდა რუსეთის ხალხთან, დემოკრატიასთან ერთად ვეძიოთ ჩვენი საუკეთესო მომავალი. რუსეთი უფრო დაწინაურებულია, იქ უკეთესი წყობილება იქნება და მისი მადლი ჩვენც გვეფინება მეთქი. ჩვენ ვაკვრიდით რუსეთს, როგორც უკეთესი წყობის და მჭიდრო ცხოვრების მომცემს, ვინემ ჩვენ გვქონდა.

ამ უკეთესის მოლოდინში ვიბრძოდით რევოლიუციისათვის. მივაღწიეთ კიდეც რამდენიმეთ მიზანს. რევოლიუციამ ძლევამოსილი ფრთა გაშალა რუსეთის სივრცეზე. ჩვენ მას შევხაროდით, შევტრფოდით, მთელი ძალღონით მხარს ვუჭერდით, თავს ვევლებოდით საუკეთესო იმედები მისკენ იყო მიპყრობილი.

მაგრამ არ გაგვიმართლდა იმედი. არ ასრულდა ჩვენი ოცნება. სურვილმა ვერ მოგვცა ის, რაც გვინდოდა. ჩვენ გვეშინოდა ოქ მალეთის ბარბაროსობის. რუსეთმა ეს საფრთხე ვერ აგვაშორა. ჩვენ გვეშინოდა ანარქიის, კონტრრევოლიუციის, რუსეთში ერთიც და მეორეც გაბატონდა. ჩვენმა დემოკრატიამ კი შეინარჩუნა რევოლიუციის ძალები. რა უნდა გვექნა ასეთ პირობებში?

ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. ეს ერთად ერთი გზა იყო. დამოუკიდებლობა—ეს ახლა უდრის ჩვენთვის დემოკრატიზმს, ედრის წესრიგს, რევოლიუციის მონაპოვარს, ყველა იმას, რისთვისაც 20—30 წლის განმავლობაში ვიბრძოდით. დამოუკიდებლობის უარყოფა და რუსეთის მღვრიე წყალში გადაქვევა—დღეს დღეობით მაინც ნიშნავს ანარქიის გამეფებას, რეაქციის მსხვერპლათ გახდომას; ერთი სიტყვით, თვის ხელით ყელის გამოჭრას. და განა იმისათვის ვიბრძოდით, რომ ჩვენი ნაშრომი წყალში გადაგვეყარა? რომ რუსეთს ჩვენი ძალა აღადგენდეს დემოკრატიულ ფორმებში, ეს კიდევ მესმის. მაგრამ, განა წარმოსადგენია ასეთი პერსპექტივები?

მორალურათ ჩვენ ესლაც მათთან ვართ, ვინც რუსეთში დემოკრატიზმის წრფელი დამცველია. ზნეობრივი ჩვენი დახმარება ახლაც მათ მხარეზეა. იმაზე მეტის მიცემას კი, რაც შეგვიძლია, ვერავინ მოგვთხოვს. ჩვენ გვირჩევენ ერთ რამეს: თვითონაც იმ წყალში ჩავცვივდეთ, რომელშიაც რუსეთი იხრჩობა. ეს შეიძლება დიდი გმირობა იყოს, მაგრამ დიდი სისულელეც იქნება: დემოკრატია მოსპო და ახალი კი არ შეიძინო, განა მეტი უაზრობა გაგონილა? განა ამას გვაპატიებს ხალხი, ისტორია, ან ჩვენი სინდისი?

ნახევარი წელია ჩვენ დამოუკიდებლათ ვცხოვრობთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჭირი ვნახეთ: შინ არა ერთი კუთხე აგვიჯანყდა, რეაქციონური და ანარქისტული ელემენტების წყალობით. მაგრამ მუშათა მარჯვენამ ისინი ჩააჩუმა. შეცდომილნი შეეცადნენ გონს მოგვეყვანა, შემცდენელნი კი თავიდან მოგვეშორებია, როგორც ქვეყნის ამრევი ძალა. გერმანელთა ჯარები შემოვიყვანეთ, მაგრამ მთელი ძალღონე მოვახმარეთ, რომ ჩვენში უკრაინის ამბები არ დატრიალებულიყო. სოციალურ რეფორმებზე ხელი არ აგვიღია. პირიქით, მათ ვაწარმოებდით. მიწები ჩამოვართვით მემამულეთ, და გლეხებს გადავეცით ჯერ დროებით, მალე კი შევუდგებით მათ საბოლოოთ დანაწილებას.

ერობა შემოვიღეთ იქ, სადაც გარდა ბოლქაულისა, ხალხს არავითარი მთავრობა არ უნახავს; შინაური ცხოვრება ერთიანად აწეწილი, ოდნავ ჩავაყენეთ კალაპოტში. ფოსტა-ტელეგრაფის და სკოლების გახსნას მივყავით ხელი. დამღუპველი კრიზისთვის მზადება შევუდექით. და ეს სულ ექვსი თვის განმავლობაში. განა შეიძლებოდა მეტის გაკეთება? არარაობისაგან რაღაცა შევქმენით. და ყველაფერს, რასაც ვაკეთებდით საფუძვლად დემოკრატიული პრინციპი ჰქონდა დადებული, ყველაფერი ხალხის ინტერესებისთვის და ხალხის ხელით კეთდებოდა. მუშები, მუშათა გვარდია, დემოკრატიულ რევოლიუციური ორგანიზაციები ჩვენ მუდმივ მხარის დამჭერი და დამხმარე მთავრობის მოქმედების.

და ჩვენ ვამბობთ, თამამათ, რომ შეგვეძლოთ გაგვეკეთებინა ყოველივე, რაც კი ადამიანის ძალღონეს მოეთხოვება. და აი ამ დემოკრატიულ რესპუბლიკას, დემოკრატიულ შემოქმედებით ნახევარი წლის თავს, ვიხსენიებთ დღეს, ჩვენ ვიმეორებთ: ჩვენი დამოუკიდებლობა დიდი სიკეთეა დემოკრატიისთვის, მუშათა კლასისთვის. და ჩვენ სწორეთ კლასიური, ინტერნაციონალური თვალსაზრისით ვიცავთ მას და დავიცავთ მომავალშიაც

## ბოლშევიზმი გერმანიის რევოლიუციაში

მიიღებს თუ არა, გერმანიის რევოლიუცია ბოლშევიკურ სახეს? აი საკითხი, რომლის გამორკვევასაც გულის ფანცქალით ელის მთელი ქვეყნის დემოკრატია. ამაზეა დამოკიდებული რევოლიუციის ბედი. ერთბაშად გამოცხადდეს სოციალისტურათ განწყობილ პროლეტარიატის დიქტატურა, თუ უკეთესი იქნება სიარული იმ გზით, რომელსაც ეწოდება „დემოკრატიზმი და—სოციალიზმისაკენ?" აი როგორ არის დაყენებული ის საკითხი, რომლის გარშემოც წარმოებს დავა გერმანიის სოციალიზმის ორ ფრთას შუა. დიდი უმრავლესობა, რომელშიაც შედის არა მარტო შეიდემანის მიმდევარი ზომიერი სოციალ-დემოკრატები, არამედ ჰაზე-ლედებურ კაუცკის „დამოუკიდებელი" სოციალისტებიც ცდილობენ განახორციელონ რევოლიუციური გარდაქმნა ისე, რომ მას თანაუგრძნობდეს ხალხის რაც შეიძლება დიდი ნაწილი. ამისათვის კი მათ საუკეთესოთ მიაჩნიათ საჩქაროთ მოწვევა დამფუძნებელი კრებისა, რომელიც ჭეშმარიტი გამომხატველი იქნება მთელი ხალხის ნებისყოფისა და, რომლის გადაწყვეტილებას უნდა ემორჩილოს უმცირესობა. „სპარტაკის" მოზამშევიკე ფრთა კი იმ აზრისაა, რომ დამფუძნებელი კრება ბურჟუაზიულ პოლიტიკურ აზროვნების ნაყოფია, რომ პროლეტარიატმა უნდა ახალი ფორმები შემოიღოს: იგი უნდა ეცადოს ეხლავე გამოცხადდეს სოციალისტურ პროლეტარიატის დიქტატურა, და, როგორც ამ დიქტატურის გამოხატულება—მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მიერ. რომელი გზა უფრო მიზან-შეწონილია რევოლიუციის გამარჯვებისათვის?

რევოლიუცია მით უფრო გაიმარჯვებს, რაც უფრო მეტი წესიერება იქნება სახელმწიფოში შენარჩუნებული, რაც უფრო უმტკივნეულოთ ჩაივლის „ძველის" აუცილებელი ნგრევა და მის ადგილს „ახალის" შენება. რევოლიუცია მით უფრო ძლევა-მოსილია, რაც უფრო ხალხის მეტი ნაწილი თანაუგრძნობს მას. გერმანიის პოლიტიკურ და სოციალურ წესწყობილებაში ბევრი იმისთანა რამ არის, რაც ფეოდალური დროის ნაშთებით უნდა ჩაითვალოს ამ ფეოდალური ნაშთების მოსპობაში მარტო პროლეტარიატი არ არის დაინტერესებული. მას ამაში მიეხმარება არა პროლეტარული დემოკრატიაც. და მათს დახმარებას პროლეტარიატი ვერ უარყოფს, თუ არ უნდა უდროოთ გაიჩინოს მეტი მტრები იქ, სადაც შეიძლო დახმარება და თანაგრძნობა მოეპოვა. რა პოლიტიკური ტაქტი იქნებოდა მარტო ერთი კლასის ძალით გაკეთება იმ საქმისა, რომლის გაკეთებაც შესაძლებელია რამდენიმე კლასის შეერთებულ ძალებით!

ნაადრევათ კავშირის გაწყვეტა და გადამტერება იმ საზოგადოებრივ ელემენტებისა, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა თავის მიზნისაკენ სვლა—პროლეტარიატის მხრივ იქნებოდა უეკონომოთ და დაუზოგველათ დახარჯვა იმ კლასის ძალისა, რომელსაც მომავალში უნდა კისრათ დაწყვეს საშინელი საქმე საზოგადოების სოციალისტურათ მოწყობისა. ეს არის მოსაზრება, რომელმაც სოციალისტურ უმრავლესობას აარჩევინა ბრძნული გზა—„დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ“, გზა უმრავლესობის დიქტატურისა, გზა დამფუძნებელ კრების.

შესძლებს, თუ არა გერმანიის ეხლანდელი სოციალისტური მთავრობა ამ გზით სიარულს? თუ მოზალშევიკე უმცირესობა არ მოახერხებს გადაახვევინოს პროლეტარიატს ამ გზას? ის ცნობები, რომლებიც გერმანიიდან მოდის, იმის მაჩვენებელია, რომ ბოლშევიკური სულიერი განწყობილება ძალიან სუსტია გერმანიაში. რომ, წინააღმდეგ რუსეთისა, ბოლშევიზმი კი თუ არ კლებულობს, არ ძლიერდება მაინც. თვით მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველგან იმ აზრს ადგანან, რომ მათ მართვა-გამგეობის ჩარევა არ უნდა იკისრონ, რომ მართვა გამგეობა მარტო და მხოლოდ მთავრობის ხელში უნდა იყოს. ასეთ მიმართულებას ადგას ცენტრალური საბჭო—ბერლინში, რომელიც ყველაზე მოზალშევიკოთ ითვლებოდა. თითქმის ყველა საბჭოები, რომლების შესახებაც კი გვაქვს რაიმე ცნობა, უარყოფენ ლოზუნგს: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და საპირით ხოვლიან დამფუძნებელ კრების მოწვევას, ამ გზას ადგიან საბჭოები კილში, კენიგსბერგში და სხვ. მთავრობის თავმჯდომარის ებერტის სიტყვით, მთელ გერმანიაში ხდება მუშათა და ჯარისკაცთა დიდი დემონსტრაციები დამფუძნებელ კრების სასარგებლოთ, ამ დემონსტრაციებს სათავეში უდგანან პროფესიონალ. კავშირები და ს.-დ. პარტიული ორგანიზაციები: „ყველა ესენი, სთქვა ებერტმა, გადაჭრით უარყოფენ დიქტატურას და მოითხოვენ ნაციონალურ კრების მოწვევას საყოველთაო არჩევნების საფუძველზე“. ყველაზე მემარცხენე მიმდინარეობის გამომხატველათ გერმანიაში ყოველთვის საქსონიის „წითელი“ პროლეტარიატი ყოფილა, და უკანასკნელ დეპეშიდან სჩანს, რომ პროლეტარიატის ეს მოწინავე რაზმიც განუსაზღვრელათ თანაუგრძნობს ებერტ-ჰააზეს ტაქტიკას: დრეზდენის მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნების დროს სოც.-დემოკრატიის უმრავლესობის ტაქტიკამ მიიღო 88,473 ხმა, ბოლშევიკურმა მიმართულებამ კი 5,500 ხმა.

ამნაირია „ბოლშევიზმის საფრთხის“ საკითხი გერმანიაში. ბოლშევიკურ მაქსიმალიზმს იქ ჯერ ჯერობით გასავალი არ აქვს. რასაკვირველია, თუ გამარჯვებულ კოალიციის იმპერიალიზმი „უსისხლო ომს“ აწარმოებს გერმანიის წინააღმდეგ, ბლოკადის საშუალებით გერმანიის ხალხს გამოამწყვდევს ამ სახელმწიფოს საზღვრებში. მოსწყვეტს მთელს კაცობრიობას და შიმშილით ამოსწყვეტს, ეს შექმნის იმ ქაოსს, რომელიც ბოლშევიზმისთვის საუკეთესო ნიადაგს შეადგენს. ამ პირობებში შესაძლებელია ბოლშევიზმის გაძლიერება. მაგრამ გვგონია, რომ ძლევა მოსილი იმპერიალიზმიც ვერ შესძლებს ამის განხორციელებას: შეგნებული პროლეტარიატი ინგლისისა, ამერიკისა და საფრანგეთისა არ შეიძლება არ ჩაერიოს საქმეში და არ მოინდომოს აღაგმოს თავის ქვეყნების იმპერიალიზმისა.

# მუშათა წერილები

### ნახევარი წლის თავი.

პირველი დეკემბერი ისტორიულ დღეთ ჩაითვლება საქართველოს ისტორიაში. დღეს საქართველოს პარლამენტი ჩვენი დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულებას იდღესასწაულებს. ზოგმა შეიძლება ეს გარემოება არანორმალურად ჩასთვალოს, რადგანაც ნახევარი წელიწადი არც ისე დიდი დროა, რომ საჭირო იყოს მისთვის სადღესასწაულო სხდომების გამართვა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ისეთ მდგომარეობას, როგორსაც განიცდის ამ ხნის განმავლობაში საქართველო და მასთან ერთად თითქმის მთელი კაცობრიობა, ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ დღევანდელ პირობებში ნახევარი წელიწადი, ჩვეულებრივი დროის თითქმის ნახევარ საუკუნეს უდრის.

არა ჩვეულებრივ მძიმე პირობებში იშვა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ის დრო იყო, როდესაც ბარბაროსი გარეშე მტერი ჩვენს საზღვრებში უკვე შემოჭრილი იყო და ქართველ ხალხს განადგურებით ემუქრებოდა. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის მტრები და მოღალატეები შიგნით არეულობებს გვიწყობდენ და მით ჩვენს დემოკრატიას საშუალებას უსპობდენ კარზე მომდგარი გარეშე მტერი მოეგერებინა. ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატია, როდესაც მისმა ხელმძღვანელმა პარტიამ, სოციალდემოკრატიამ გადასწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა და ქართველი ხალხის სახელით მიემართა მაშინ გამარჯვებულ გერმანიის მთავრობისათვის, რომ მას ნება არ მიეცა ნახევრათ ველურ ოსმალეთის ურდოებისათვის საქართველოს აოხრების. ამავე დროს ჩვენმა პარტიამ მიმართა გერმანიის სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომ ამ უკანასკნელს მხარი დაეჭირა ჩვენი დამოუკიდებლობისათვის და გავლენა მოეხდინა გერმანიის ყოფილ იმპერიალისტურ მთავრობაზე, რათა უკანასკნელი ჩვენს შინაურ საქმეში არ ჩარეულიყო.

ამრიგათ ერთის მხრით გერმანიის მთავრობის დახმარებამ ჩვენ გვიხსნა ოსმალეთის ბატონობისაგან, ხოლო გერმანიის სოციალდემოკრატიის თავის მთავრობაზე გავლენის მოხდენამ ამ უკანასკნელს საშუალება არ მისცა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა. ჩვენი ერის მეთაურების ასეთმა გონიერმა პოლიტიკამ უზრუნველყოფილი გაგვხადა გარეშე მტრის საფრთხისაგან, განსაკუთრებით ოსმალეთის მხრით. მაგრამ თუ გონიერი პოლიტიკის წარმოებამ ჩვენ გვიხსნა ოსმალეთის საფრთხისაგან, მარტო ამით არ გადაწყვეტილა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განმტკიცებისათვის.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა მას აუარებელი მტრები გამოუჩნდა როგორც შიგნით, ისე გარეთ, და რომ მტრების ალაგმვა შესძლებოდა ჩვენს მთავრობას, საჭირო იყო რეალური ძალა და ეს რეალური ძალა ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ ხანებში იყო სახალხო გვარდია, რომელმაც შესძლო ყველგან მოღალატეების მიერ მოწყობილ ანარქიის ჩაქრობა და წესიერების დამყარება. და ამ წესიერების დამყარებამ ხელი შეუწყო იმ ჩვენი ახალგაზრდა ჯარის შექმნას, რომელიც დღეს სახალხო გვარდიასთან ერთად მედგრად იცავს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას შინაურ და გარეშე მტრებისაგან.

ერთის მხრით გონიერი პოლიტიკის წარმოებამ და მეორე მხრით სახალხო გვარდიისა და ახალგაზრდა ჯარის თავდადებულმა ბრძოლამ აქ საქართველოს პატარა ტერიტორიაზე შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო ყველა ის დიდი ლოზუნგები, რომელიც თებერვლის დიდმა რევოლიუციამ წამოაყენა. დიდი რუსეთის ნანგრევზე საქართველო ერთად ერთი კუთხეა, სადაც რევოლიუციისა და თავისუფლების დროშა მაღლა ფრიალებს.

მაშინ, როდესაც რუსეთის დემოკრატია რეაქციონერების მიერ უფლება აყრილია, საქართველოს დემოკრატია ყოველგვარ პოლიტიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობს. დღეს საქართველოს რესპუბლიკაში ყოველგვარ შინაური რეაქციონური და კონტრრევოლიუციონური საფრთხე დაძლეულია და ამ მხრით ჩვენი დამოუკიდებლობა უკვე უზრუნველყოფილია, მაგრამ ასევე არ შეიძლება ჯერ-ჯერობით ითქვას ჩვენს საგარეო მდგომარეობაზე. ამ მხრით ჩვენი მომავალი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული, მაგრამ, ჩვენის აზრით, არც ისე უიმედოა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ყოველივე გარეშე ძალა მაშინ გაგიწევს ანგარიშს, თუ შენში დაინახა ორგანიზაციული ნიჭი და სათანადო სახელმწიფოებრივი აპარატი. ამ ნიადაგზე ჩვენმა მოკლე ხნის მუშაობამ უკვე რამოდენიმე სახელმწიფოები დაარწმუნა, რომ საქართველო შესძლებს დამოუკიდებლათ არსებობას. ეს გარემოება უდიდესი საწინდარია იმისა, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც დღევანდლამდე ალმაცერათ უყურებენ ჩვენს დამოუკიდებლობას აზრი შეიცვალონ და საქართველოს სუვერენობა აღიარონ.

საქართველოს დემოკრატია და მისი ხელმძღვანელები კი მოვალენი გაორკეცებული ენერგიით განაგრძონ ის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რომელსაც დღემდის აწარმოებდენ. ჩვენ გვწამს, რომ დღევანდელი დღესასწაული კიდევ უფრო გააძლიერებს იმ ენერგიას, რომელიც საჭიროა მომავალში დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვისათვის.

რამდენად საქართველოს დემოკრატია მჭიდროდ შეკავშირდება საქართველოს პარლამენტისა და დემოკრატიული მთავრობის გარშემო, იმდენად ადვილად გახდება იმ წესწყობილების განმტკიცება, რომლის დაცვას დიდი მსხვერპლი შეეწირა საქართველოს დემოკრატიამ. მთელი ძალა და ენერგია იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მთავრობას გაუადვილოთ ამ მძიმე მოვალეობის შესრულება.

დღევანდელი დღესასწაული საწინდარი იქნება იმისი, რომ საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა, როგორც დღემდის, ისე შემდეგშიაც შესძლებენ დაიცვან საქართველოს დამოუკიდებლობა და რევოლიუციით მოპოვებული თავისუფლება. ამ მიზნით დაამედებული ჩვენ გულწრფელ სალამს უძღვნისა დღევანდელ დღესასწაულს.

ს. ელიავა.

# მთავრობის შექმნის საკითხი ბაქოში.

(დასასრული)

ასეთ შემთხვევაში რწმუნებულები უნდა გადასცნონ ადგილობრივ ორგანოებს, თვალ ყური ადევნონ მათ მოქმედებას რუსეთის კანონების თანახმად, რომელიც არსებობდა ოქტომბრის გადატრიალებამდე. ადგილობრივ ორგანოებს რწმუნებულები ძლიერ ფრთხილად და თანაგრძნობით მოეპყრობიან, თუ ისინი ცოტათი მაინც შრომის უნარს გამოიჩენენ. უფრო ძნელი საქმე სდგას ჩვენს წინაშე, იმ შემთხვევაში სთქვა პროფესორმა გოლოვინმა, როცა ესა თუ ის ნაწილი გამოეყო რუსეთს თავისი ნებით და თავის თავს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფო ორგანიზაციათ გამოაცხადა. აქ, სთქვა პროფ. გოლოვინმა, ჩვენ რაც შეიძლება მეტი ტაქტი უნდა გამოვიჩინოთ, ჩვენ ვეცდებით დამფუძნებელი კრების წევრთა ყრილობამდე მოვაწესრიგოთ კითხვები შეთანხმებით—და საქმე არ მივიყვანოთ რაიმე ექსცესებამდე.

ამ განცხადების შემდეგ პროფ. გოლოვინმა დასტოვა კრება. თათბირმა დაადგინა ამოირჩიოს რამოდენიმე კაცი, რომლებიც შეატყობინებენ პროფ. გოლოვინს იმის შესახებ, თუ რა მოხდა თათბირზე მისი რწმუნებულობის განხილვის დროს და შეთანხმდებიან მასთან, რომ ის მეორე კრებაზე დაესწროს.

ამით დასრულდა თათბირი; შემდეგი სხდომა უნდა მომხდარიყო 25 ნოემბერს.

როგორია დამოკიდებულება სხვადასხვა საზოგადოებების წრეებისა კავკასია-კასპიის მთავრობისადმი, რომლებიც პრეტენზიებს აცხადებენ მთელ კავკასიისა და კასპიის მართვა-გამგეობაზე? ეს მთავრობა განსაზღვრულ თანაგრძნობას პოულობს ადგილობრივ ესერებში, შესაძლებელია კიდევ დაშნაკელების ერთ ნაწილშიც ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა, კავკასია-კასპიის მართვა-გამგეობას ისე უყურებს, როგორც ავანტიურას. ადგილობრივი ზომიერი რუსული წრეებიც ნაკლებათ თანაუგრძნობენ მათ.

არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ ინგლისის სარდლობა მეტი თუ ნაკლები თანაგრძნობით მოეპყრობა პეტროვსკის ორგანიზაციას. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბიჩო რა მთელი ძალა-უფლება თავის ხელში ქ. ბაქოში, მოკავშირეთა წარმომადგენლები არ სცდილან გაიბათილებინათ უკვე არსებული ადგილობრივი ორგანიზაციებით ძალა-უფლებები, ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში. მოკავშირეებს ეს მით, რომ არ შეიძლება ადგილობრივ ორგანიზაციებს გარედან მოახვიონ უნიადაგო ძალაუფლება, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს ადგილობრივ მცხოვრებლებში. ამ თვალსაზრისზე დგანან, როგორც სჩანს, ადგილობრივი ზომიერ რუსებთა წრეები ბაქოს რუსულ კომიტეტის სახით. ისინი ფიქრობენ, რომ შეუძლიათ უკეთესი შეეწყონ მოაწესრიგონ რუსეთსა და მის მიდამოების ურთიერთ შორის დამოკიდებულებას არა გარედან უცხო ძალების მოხვევით, არამედ ადგილობრივ გავლენიან ელემენტთან თანამშრომლობით. უკანასკნელი დროშები ბაქოში, მოკავშირეთა წარმომადგენლების ცნობით, ხდებოდა ადერბეიჯანის გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეებსა და რუსულ ნაციონალურ კომიტეტ შორის ადერბეიჯანის მთავრობის გარდაქმნის შესახებ. აზრად ჰქონდათ შეექმნათ კოალიციონური მთავრობა ნაციონალურ საფუძველზე. ასახელებდნენ კოალიციისა და სმირნოვის სახელებს, რომლებიც უნდა შესულიყვნენ ახალ სამინისტროში. დ.

# მერვე ყრილობა

(დასასრული)

### რეზოლიუციები.

#### ინტერნაციონალზე.

იმ რევოლიუციაში, რომელმაც იფეთქა ცენტრალურ ევროპაში და, რომელიც აუცილებლობის ძალით იწვევს მუშათა დემოკრატიის იდეალებისათვის საბრძოლველად დასავლეთ ევროპის ხალხებს, სიგნდი ხედავს სოციალისტურ ინტერნაციონალის აღორძინების განთიადს. ამ ახალმა ძალამ უნდა მისცეს კაცობრიობას გამოსავალი გზა იმ საშინელ კრიზისიდან, რომელიც ომმა დაბადა, და უნდა შექმნას თავისუფალ განვითარების პირობები დიდ და პატარა ერებისათვის, რომელნიც დღემდის იმპერიალისტურ ძალების სათარეშო ასპარეზს წარმოადგენენ.

ინტერნაციონალის დაშლა მსოფლიო ომის დასაწყისში იყო აუცილებელი შედეგი იმ გარემოებისა, რომ ყველა სოციალისტური პარტიები, რომლებიც მეორე ინტერნაციონალის რაზმებს წარმოადგენდენ ცალ-ცალკე ქვეყნებში, შეზღუდული იყვნენ თავის მოქმედებაში ხალხთა სახელმწიფოებრივი დაყოფით, თვითეულ პარტიის მუშაობას აწარმოებდენ მხოლოდ თავის ქვეყნის ფარგლებში,—და ეს იმ დროს, როდესაც საწარმოვო ძალების განვითარებამ უკვე გადალახა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფარგლები და მსოფლიო წარმოებისთვის ახალ საერთაშორისო ურთიერთობის ფორმების შექმნას მოითხოვდა.

იმპერიალიზმმა სცადა სახელმწიფო ფარგლები იარაღის ძალით მსოფლიო საზღვრებამდე გაეფართოვებინა, და ამ ცდამ კაცობრიობა გამანადგურებელ და უგუნურ მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

ამ ომის თავიდან ასაცილებლად ინტერნაციონალს იმპერიალისტური მეთოდი იმ კითხვების გადაჭრისა, რომელნიც წარმოშვა საწარმოვო ძალთა განვითარებამ, უნდა დაუპირდაპირებინა თავისი მეთოდი იმავე კითხვების—ხალხთა შეთანხმების საშუალებით გადაჭრისა.

ამისთვის კი პროლეტარიატის ფართო მასსის შეგნება არ იყო მომზადებული და ინტერნაციონალსაც არ გააჩნდა არც ძალა, არც საჭირო ორგანიზაცია. ომის გამოცდილებამ დაანახვა ყველა ერებს, თუ რა დამღუპველია ქვეყნის მეურნეობისათვის საზღვრების გაფართოების საკითხის იმპერიალისტურათ გადაჭრა, მან წამოაყენა კითხვა ხალხთა ლიგის შექმნისა, და მოამზადა ნიადაგი ინტერნაციონალის აღსადგენად ახალი ძლიერებით, ეს ძლიერება საშუალებას აძლევს მას გადასჭრას ის კითხვები, რომელთაც დაანგრიეს ინტერნაციონალი ოთხი წლის წინათ.

ახალი ინტერნაციონალის ორგანიზაცია უნდა შეეფერებოდეს მის წინაშე დასმულ კითხვების სიდიადეს.

მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი ყველა ეროვნულ რაზმებისა, როგორც პირველ ინტერნაციონალში;

მჭიდრო კავშირი თვითეულ ქვეყნის პროლეტარულ მასსასთან, როგორც მეორე ინტერნაციონალში, აი ის პირობები, რომელნიც უზრუნველყოფენ საქვეყნო პროლეტარიატის საბრძოლველოთ შეკავშირებას ძველი ბურჟუაზიული ქვეყნის დანგრევის წინახანებში, იმ დროს, როდესაც უნდა მოხდეს ომის შედეგების ლიკვიდაცია და უნდა შეიქმნას ახალი ფორმები საერთაშორისო ცხოვრებისა.

#### აგრარულ საკითხზე.

1) ადგილ მამული, რომელსაც ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ჩაირიცხოს ბელუხლებელ ფონდით და ის გადაეცეს სახელმწიფოს ხოლო ნაწილი საერობო თვითმართველობებს, 2) დანარჩენი ადგილ-მამული დაწესებულ ნორმის ფარგლებში გადაეცეს კერძო საკუთრებათ უმიწაწყლო და ღარიბ გლეხობას, 3) ამ ადგილ მამულისათვის მშრომელ გლეხობას გადახდეს შეღავათიანი ფასი.

# საქართველოს პარლამენტი

### 26 ნოემბრის სხდომა.

#### კანონპროექტი უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლების გახსნის შესახებ.

თავმჯდომარეობს კ ჩხეიძე.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე: კანონ-პროექტი, რომელიც ეხლა უნდა განიხილოს პარლამენტმა, შეეხება ერთის მხრით ახალ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების გახსნის იმ რაიონებში, სადაც არ არსებობენ ასეთნი და მოთხოვნილება კი დიდია. კანონ-პროექტის აზრით უმაღ. პირვ. დაწ. სკოლები უნდა გაიხსნას შემდეგ ადგილებში: გურჯაანში, ბორჯომში, საგარეჯოში, ოსეთის რაიონში, ნამალდევში და სხვ. მეორეს მხრივ აღნიშნულია კანონ პროექტში ის სკოლები, რომლებიც ხაზინამ უნდა მიიღოს თავის ხარჯზე, აგრეთვე კანონ-პროექტში ნათქვამია იმის შესახებ, რომ მარიამის სახელობის სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლათ, ხოლო ორკლასიანი სასულიერო სკოლები, მაგ., ბანძაში, გადაკეთებულ იქნას უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლათ.

რ. არსენიძე (ს. დ.) აქ არის წამოყენებული პროექტი სხვადასხვა ადგილას ახალი უმაღ. პირველდაწ. სასწავლებლების გახსნის შესახებ, პროექტი ეხება აგრეთვე ზოგიერთ სასწავლებლების ხაზინის ხარჯზე მიღებას. ჩვენ გვგონია, რომ ახე სეპარატიულად ზოგიერთ სასწავლებლების სახაზინოდ ჩარიცხვა შეუძლებელია. რაც შეეხება ახალი სკოლების გახსნას, აუცილებლად უნდა ხდებოდეს გარკვეული გეგმით სისტემით, კანონ პროექტი კი ამ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, იქ ნათქვამია, მაგალ. უნდა გაიხსნას სკოლა ოსეთის რაიონშიო, სად, რომელ საზოგადოებაში ან დაბაში, ეს გარკვეული არ არის. ნაჩვენებია აგრეთვე ბორჯომი და ნამალდევი, სადაც უნდა გაიხსნას სასწავლებლები. ეს კი ქალაქის საქმეა და არა მთავრობის, ამ რიგათ ჩვენ გვგონია, რომ კანონ-პროექტს დამუშავება აკლია. სათანადო დაწესებულებამ, თუ განათლების კომისიას არ შეუძლია) უნდა გამოარკვიოს თუ სად არის ახალი სკოლის გახსნა საჭირო და რატომ ესა თუ ის მაზრა უნდა იქნას პირველ ანუ მეორე დაყენებული. ყველა ამ მოსაზრებებისა გამო ჩვენს ფრაქციას წინადადება შეაქვს კანონ-პროექტი დაუბრუნდეს უკან კომისიას.

სპ. კედია. (ნ დ) ჩვენში ძლიერ ვრცელდება უვარგისი ტიპის სკოლები. საჭიროა განათლებას სამინისტრომ მიაქციოს ყურადღება სამეურნეო სასწავლებლების გავრცელებას. ამ კანონ პროექტის შესახებ ფურთდება არსენიძის წინადადებას

ა. ახმეტელი. (რ. დ.) აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სიღნაღის, თიანეთის და თელავის მაზრებში სკოლები სულ არ მოიპოვება, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ბევრია. კანონ-პროექტი უმთავრესს ყურადღებას ისევ ქუთაისის გუბ. აქცევს ეს იმის შედეგია, რომ გარკვეული გეგმა არ ჰქონია კომისიას. ამიტომ მეც უერთდები არსენიძის მიერ შემოტანილ წინადადებას.

ახვერდოვი (მუს.) ამბობს, რომ კანონ პროექტში გამოტოვებულია [illegible] რაიონები, ბორჩალოს მაზრა და ყარაიაზის რაიონი, იქ სკოლების გახსნა აუცილებლად საჭიროა. ამ ახლო მომავალში ჩვენ უსახსრობის გამო დაგვეკეტება თბილისში ერთი სასწავლებელი, რომლის ხაზინის ხარჯზე მიღებაზე მთავრობისაგან უარი მივიღეთ. ადგილობრივ მუსულმანებს კი სიღარიბის გამო იმ სკოლის შენახვა არ შეუძლიათ, ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია ამას ყურადღებას მიაქცევდეს განათლების კომისია და მთავრობა და მისცემდეს სათანადო თანხას ამ სასწავლებელს.

მომხსენებელი ცინცაძე: უპირველეს ყოვლისა მოგახსენებთ თუ რით ხელმძღვანელობდა განათლების კომისია ამ კანონ-პროექტის შედგენის დროს. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლების რიცხვი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენია დაბალ პირველ დაწყებითი სკოლების რიცხვი. იქ, სადაც ბევრია პირველ დაწყებითი სკოლები, არის მოთხოვნილება უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლისაც. თფილისის მაზრაში არსებობს 60 დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებელი უმაღლესი პირველ დაწყებითი კი არც ერთი. იქ აუცილებლათ უნდა გავხსნა. გორის მაზრაში არსებობს 117 დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, უმაღლესი პირველ-დაწყებითი კი ორი. სიღნაღის მაზრაში არსებობს 74 დაბალი სასწავლებელი, უმაღლეს პირველ დაწყებითი კი ერთი. აი ამ გარემოებას მივაქციეთ ჩვენი ყურადღება და სწორეთ ამ გეგმით ვხელმძღვანელობდით. საბოლოო გეგმა საყოველთაო სწავლა-განათლებისა ჯერ შემუშავებული არაა და შესაძლებელია წლის ბოლოს დასრულდეს ამ მხრით მუშაობა. სპ. კედიამ სთქვა, რომ სასურველია სამეურნეო სკოლების გახსნას განათლების სამინისტრო ყურადღებას მიაქცევდესო: ჩვენც უნდა განვაცხადოთ რომ ეს სასურველია და სასარგებლოც, მაგრამ ამის შესახებ ახლა ჩვენ არაფრის წარმოდგენა არ შეგვიძლია. აქ ახმეტელი შეეხო იმ გარემოებას, რომ დუშეთ-თიანეთ-თელავის მაზრებში ნაკლებათ არის სკოლები და ამას ყურადღება უნდა მიექცესო. დუშეთში ერთი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი არსებობს მეორეს კი ვხსნით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მივაქციეთ ამ მაზრებში სკოლების ნაკლებობას ყურადღება და უკვე მიღებულ კანონის ძალით ამ მაზრებში ეხსნით მთელ წყებას პირველ დაწყებითი სასწავლებლებისა. ამ კანონ პროექტის ნაკლს ის შეადგენს, რომ გარკვეული არ არის ბორჯომის და ნამალდევის საქმე.

რაც შეეხება ახვერდოვის განცხადებას მე უნდა ვსთქვა, რომ ეხლაჩან შეუძლებელია ახვერდოვის მიერ დასახელებულ რაიონებში სკოლის გახსნა, ისე კი რასაკვირველია, კომისია ეცდება იმ რაიონებში გახსნილ იქნას სკოლები. რაც შეეხება იმას, რომ თფილისში ერთი მუსულმ. სკოლა უსახსრობისა გამო დაიხურებაო, ეს ქალაქის თვითმართველობის საქმეა.

#### კანონ პროექტი ერობათა დახმარების შესახებ.

მომხსენებელია ნ. ცინცაძე. მოგეხსენებათ, რომ ერობათა არჩევნები უკვე დასრულდა და აღმასრულებელი ორგანოები ყველგან ამოირჩიეს, მაგრამ უსახსრობა უშლის მათ მოქმედებას ხელს. განსაკუთრებულ პირობებში აღმოცენდა ჩვენი ერობები, მაგრამ რაც გინდ ღარიბი არ უნდა იყოს ჩვენი ხაზინა, მაინც ამ ერობებს დახმარება უნდა გაუწიოთ სესხის სახით, ნაწილი ფულისა უნდა მოხმარდეს საორგანიზაციო საქმეებს, განსაკუთრებით წვრილ საერობო ერთეულების შექმნასა. კანონ-პროექტის ძალით ერობებს უნდა მიეცეს 4 მილიონი მანეთი. აქედან ნახევარი მილიონი მათ მიეცემათ დახმარების სახით, $3\frac{1}{2}$ მილიონი მანეთი კი 5 % სესხის სახით.

აკაკი ფაღავა (ს. ფ.) ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ ჩვენს ფრაქციას არაფერი არა აქვს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაჩქარებით შემუშავებულ იქნას საერობო დებულება, რადგანაც ძველი დებულება არ შეეფერება ეხლანდელ პირობებს. მით უმეტეს ჩვენს ერობაში არ იქნება საგუბერნიო ერობა, ძველი დებულებით კი საგუბერნიო არის, ძველი დებულებით თფილისი არც ერთ ერობაში არ შედის. ჩვენ, რამდენათაც ვიცით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მიმართულებით მუშაობას აწარმოებს და საჭიროა დააჩქაროს.

კანონ პროექტი პარლამენტმა მიიღო.

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

### 30 ნოემბერი.

#### ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 29 ნოემბერი, (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს მიდლეტენი. ვორონეჟი, 28 ნოემბერი. კრასნოვის ბრძანებით როსტოვის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 12 დეკემბერი — სახალხო გვარდიის დღე
## (ძველი სტილით 29 ნოემბერი)

ნოვოჩერკასკის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში დაკიდეს ტრაურით მოსილი ნიკოლოზ რომანოვის სურათი. სტოკჰოლმი, 27 ნოემბერი. კარლ ლიბკნეხტმა, როზა ლუქსემბურგმა და კლარა ცეტკინმა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით მიმართეს. პროლეტარიატს მოუწოდებენ აღსდგეს და იბრძოლოს სოციალისტურ წყობილების დასამყარებლათ. გალიცია. ნაუენი, 28 ნოემბერი. ლვოვში ებრაელების დარბევა ფართო ხასიათს იღებს. ჯარისკაცებმა დაწვეს ებრაელი მილიციონერები. დაიწვა 420 სახლი. სახლებში დაიწვა მრავალი ებრაელი. ცეცხლი რომ არ ჩაექროთ, წყალსადენი დაკეტეს. ქუჩაზე გამოჩენილ ებრაელს დაუყოვნებლივ ჰკლავდნენ (გამოტოვებულია) უახლოესი მიზანია ტრანსილვანიის დაჭერა. რუმინიის ორი პოლკი ტრანსილვანიაში შევიდა. მეფე ფერდინანდმა მოუწოდა ჯარისკაცთ იბრძოლონ ბოლომდე. იტალიის ჯარის მიერ დაჭერილ ტიროლის ოლქებში გაკრულია პროკლამაციები, სადაც ნათქვამია, რომ ეს ოლქები სამუდამოთ ეკუთვნის იტალიას... (გამოტოვებულია)... ვანდერველდე... (გამოტოვებულია) არათა აქვთ მიმართონ მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს საკუთარ სოციალისტურ მიზნის დასაარსებლათ და ბრიუსელში სოციალისტურ კონფერენციის მოსაწყობათ. მოსკოვი. 28 ნოემბერი. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, სადაც აუწყებს, რომ პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წარმომადგენლის დაპატიმრების შესახებ ცნობა სიმართლეს მოკლებულია. ნოტაში შემდეგ ნათქვამია რომ საბჭოთა მთავრობა არ სცნობს სარეგენტო საბჭოს პოლონეთის ხალხის წარმომადგენლათ, რადგან ის შესდგა გერმანელთა ხიშტების დახმარებით. დასასრულ ნოტა წინადადებას იძლევა გამოგზავნონ მოსკოვში პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი და თან აუწყებს, რომ... (გამოტოვებულია). მთავრობის წარმომადგენლათ ინიშნება მარლევსკი... კომისართა საბჭო საჩქაროთ მოითხოვს პასუხს. პეტერბურგი. 28 ნოემბერი, დღეს, საღამოთი საბჭოთა ჯარმა ნარვა დაიჭირა. ფინლანდია. 27 ნოემბერი. ჩუგუევის მაზრა ხარკოვის გუბერნიაში მეამბოხე ბოლშევიკების ხელშია. სოფლებში არჩეულია ღარიბთა კომიტეტები. არსდება კომუნისტური იაჩეიკები. პეტერბურგი. 28 ნოემბერი. შუაღამისას შეიარაღებული უცნობნი თავსდაესხნენ ნორვეგიის საელჩოს ბინას. გაჩხრეკის შემდეგ წაიღეს ძვირფასი ნივთები და საბუთები. თავდამსხმელნი ავტომობილით მიიმალენ. მათ დასაჭერათ მიღებულია ზომები. ნაუენი. 28 ნოემბერი. ყველგან შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე. სამარა. 27 ნოემბერი. ციმბირის მთავრობა გადადგა.

ყველა მუშათა გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს. უკრაინის მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობის მანიფესტი აჯანყებულ მუშათა და გლეხთა და უკრაინის რევოლიუციონურ ჯარის სახელით ვაცხადებთ, რომ გეტმანის მთავრობა ჩამოგდებულია. უკრაინის მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა აღდგენილია. უკრაინის მუშებო, გლეხებო, უკრაინის წითელი არმიის ჯარისკაცნო დადგა სანატრელი დრო, როცა უკრაინის დროებით გამარჯვებულ ბურჟუაზიის მემამულეთა და სკოროპადსკის მთავრობა დაეცა. აუწერელი უბედურების, დამცირების, ტანჯვის და სიღარიბის 7 თვე განიცადა უკრაინის მშრომელმა კლასმა. ქარხნები და ბანკები დაუბრუნეს კაპიტალისტებს და მემამულეებს. ასი ათასობით დახვრიტეს, ციხეები აივსო ღარიბებით იმიტომ, რომ არ ისურვეს კაპიტალისტების და მემამულეების სასარგებლოთ მუშაობა. სისხლიანს დღესასწაულს იხდიდა ბურჟუაზია, მემამულენი, გეტმანის რაზმი, და მაშინდელი უკრაინის მფლობელნი—გერმანიის კაპიტალისტები და გენერლები, მაგრამ უკრაინის მუშები და გლეხები არ დამორჩილდენ მათ და არ დაყარეს იარაღი. მათ თავი მოიყარეს თავის ერთად ერთ დამცველ ბოლშევიკების რევოლიუციონურ დროშის ქვეშ, ბოლშევიკები განაგრძობდნენ ბრძოლას ადგილობრივ აგროვებდნენ ძალას, არღვევდენ მოწინააღმდეგის ძალას და უხსნიდენ ავსტრია-უნგრეთის ჯარს, თუ რა ხამ რეცხვენოა მათი მოქმედება, როცა ისინი კაპიტალისტებს ესარჩლებიან და მშრომელთა ჯალათებათ გამოდიან. ეკატერინოსლავის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიერ არჩეულმა უკრაინის მთავრობამ, როდესაც საბრძოლველათ მოუწოდა ხალხს იცოდა, რომ დადგებოდა საათი, როცა გერმანელი მუშები გამოიღვიძებდნენ, განთავისუფლდებოდნენ და მოგვცემდნენ საშუალებას ჩვენც განვთავისუფლებულიყავით.

## დაინტერესებულია

„კავკაზსკოე სლოვო“-ს ძალიან უყვარს ცილების გამოკვრა სოც.-დემ. პარტიისთვის. იგი დარბაისელ გაზეთის სახელს იჩემებს, მაგრამ დემაგოგიის წმინდა ძაფების გაბმა ძალიან უყვარს.

თფილისის საგანგებო სასამართლოში ირჩევა კ. გოგიბერიძის საქმე, რომელსაც მკვლელობა ბრალდება. ბრალდებული, მართალია, მეტად საპატიო ადგილზე მსახურებდა, ს. დ. პარტიის წევრათაც ითვლებოდა. ენერგიის პატრონიც იყო, მაგრამ ეს სასამართლოს სრულიად არ შეეხება. იგი უნდა თავის სვინდისით და კანონით ხელმძღვანელობდეს. ეს უნდა ესმოდეს ყველას, ვინც ბურჟუაზიული აზროვნებით და მეშჩანური ნათესაობით არ ხელმძღვანელობს თავის საზოგადო მოქმედებაში.

„კავკაზსკოე სლოვოს“ გულმა არ მოითმინა და ბოლოს ასე ათავებს თავის ცნობას. „საქმის შედეგით კი ბრალდებულის ბედით დაინტერესებულია ს.-დემ. პარტია მენშევიკებისა“. ამით უნდა გაზეთის მკითხველი დაეჯეროს, რომ ს.-დ. მისი გამართლება სურდეს, ან გაშვება.

მაგრამ საიდან შეიტყო ეს ცნობა გაზეთმა? ვინ მოახსენა, რომ სოც.-დემ. პარტიას კ. გოგიბერიძის ბედზე ასეთი მზრუნველობა აქვს მიღებული?

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი პარტია ყოველ დამნაშავეს საქმეში დაინტერესებულია არა მისი ბედით, არამედ სამართლიანობით და საზოგადოებრივი ინტერესით.

სოც. დემ. მიზნათ არ აქვს კერძო პირის ბედს ანაცვალოს საზოგადოებრივი სამართლის ინტერესები. პირიქით ვინც უნდა იყოს დამნაშავე ჩვენი პარტია მას ქომაგათ არ გაუხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის „ჩვენი კაცი“ იყო. ასეთი ზრუნვა „თავის კაცებზე“ საზოგადო ინტერესების წინააღმდეგ—ეს „კავკ. სლოვოს“ უფრო შეეფერება. და როცა ამას ჩვენ გვაწერს, ამით მხოლოდ თხზავს წმინდა ქსელს ცილისწამებისას...

## ახალი ამბები

სამშაბათს, 3 დეკემბერს საღამოს 5 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა ს. დ. პ. ცენტრალური და თფილისის კომიტეტებისა, საკონტროლო კომისიისა, რაიონულ კოლექტივებისა, კოლექტივებისა და ს. დ. ქალთა ორგანიზაციებისა. სხდომაზე ნ. ჟორდანია გააკეთებს მოხსენებას ორგანიზაციულ საკითხებზე.

◆ ხვალ, 2 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია თფილისის მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი სხდომა.

◆ ინგლისის მისიის წასვლა ბაქოში. გუშინ საღამოს ინგლისის მისია, გენერალ-მაიორი მაკდონალდის მეთაურობით, ბაქოში გაემგზავრა.

◆ გუშინ ღამის მატარებლით ბათომისაკენ გაემგზავრა სომხეთა დელეგაცია ჯამალიანის მეთაურობით, მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლების შესახვედრათ.

◆ ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება შესდგება დღეს, 1 დეკემბერს 11 საათზე ქ. საბჭოს დარბაზში.

◆ ცრუ „რევიზორი“. გზათა უფროსმა კანდელაკმა შემდეგი აცნობა რკინის გზის ყველა უფროსებს: „რკინის გზის დასავლეთ მხარეს გამოჩნდა ვიღაც ცრუ „რევიზორი“ გვარათ პოკლევსკი-კოზელი, რომელიც იძლევა სამსახურის დეპეშებს. გატყობინებთ ცნობისთვის, რომ არავითარი ასეთი „რევიზორი“ არ არსებობს რკინის გზაზე და ამიტომ გთხოვთ, რომ ის ორთქმავლებთან არ მიუშვათ და არ მიიღონ მისგან დეპეშა.

◆ ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“ რედაქციამ მიიღო. ჟურნალი დასურათხატებულია. შიგ არის ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილება. გამოცემულია სუფთად და ღირს 1 მ. და 50 კ.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა გააფრთხილა „სახალხო საქმის“ რედაქცია შემდეგში არ დაბეჭდონ ისეთი წერილები, როგორიც იყო 26 და 27 ნოემბრის მეთაურებში.

◆ ნახშირი. ტყვარჩელის მუშები ისევ განაგრძობენ უმუშევრობას, მაგრამ მაღაროებზე მაინც არის ფხვნილი ნახშირი 150,000 ფუთი, რომლის გამოწერა შეიძლება ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს ნებართვით.

◆ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტი აწყობს ლექციათა მთელ რიგს 1 დეკემბერს, დილის 11 საათზე მეექვსე გიმნაზიის შენობაში (უდილის ქუჩა) იქნება პირველი ლექცია ამხ. გეგეჭკორისა: „სახელმწიფოებრივი უფლება“. დასწრება შეუძლია ყველას.

◆ ქართული დრამა. დრამატიულ საზ. წლევანდელ სეზონის წარმოებაზე უკვე ხელი აიღო და ამ მოკლე ხანში დაიწყება სეზონი ქართველ მსახიობთა კავშირისა. დასში იმყოფებიან დამსახურებულნი და უკვე სახელ მოპოვებულნი მსახიობნი.

◆ უფასო კონცერტი. ქართული სამუსიკო საზოგადოება კვირას 1 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში მართავს შეგირდებისთვის უფასო მეორე კამერულ კონცერტს ლ. ს. პენდიცის (როიალი) და ქართულ სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით დასაწყისი დის 12 ნახ. საათზე.

◆ გაზეთების შეწყვეტა. ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება, სამტრედიაში—აბობაძეს, სოხუმში—ესვანჯას და ნატანებში—ქინქლაძეს კანტ. „განათლება“.

◆ წარმოდგენა. კვირას 1 დეკემბერს ორთაჭალის მუშათა კლუბში ქართული სცენის მოყვარეთა მიერ და ლ. ბადაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება დრამა 3 მოქ. ქორიძისა „ორი დარაჯი“ დასაწყისი საღ. 7 საათზე. წევრები იხდიან 1 მ. 50 კ. სტუმრები 2 მ. 50 კ.

◆ გარდაცვალებულ. მსახ. სოსო ივანიძის ოჯახობა სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც განსვენებულ ივანიძისაგან ქონდა წაღებული ქართული ლატარიის ბილეთები ან გასავრცელებლად ან ნისიათ, ყოველივე ანგარიში ჩააბარონ მიცვალებულის ქვრივს, ელისაბედის ქუჩა № 90.

◆ მკვლელობა. 27 ნოემბერს სურბ-კარაპეტის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოკლა ალ. კარპოვი.

◆ პანაშვიდი. გუშინ პოლონელების ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი 1830 წელს დახოცილ პოლონელებისა. დაესწრენ მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური წარმომადგენლები და აუარებელი ხალხი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან. 1 ნოემბრის „კლდის“ ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი: „კარუხაძის ბედი“. „ივ. კარუხაშვილი შექრთამეობისთვის სამსახურიდან დაითხოვეს“ და სხვა. შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით, გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში დაუთმოთ ადგილი შემდეგს: ივ. კარუხაშვილი სამსახურიდან არ არის დათხოვნილი; ის მხოლოდ განთავისუფლებულია დასასვენებლათ ორი თვის ვადით თანახმად მისი თხოვნისა; ვადა უთავდება 19 ქრისტეშობისთვეს. გარდა ამისა სამინისტროს არ მიუღია არც ერთი განცხადება ან ცნობა ბატ. კარუხაშვილის მიერ მთავრობისა ან დემოკრატიის ინტერესების შებღალვისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის მაგიერ გ. ნანეიშვილი.

### კრებები.

დღეს, 3 ნახ. საათზე გიმნაზიის შენობაში (უდილის ქუჩა) შესდგება საერთო კრება საქ. ს.-დ. მ. პ. მეოთხე რაიონის ქალთა ორგანიზაციისა. საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

— დღეს 4 საათ. დანიშნულია ახალგ. მარქ. ორგ. ც. კომიტეტის კრება მე-6 გიმნაზიაში.

— დღეს საღამოს 5 საათზე, ჩუღურეთში მეორე კომერციულ სასწავლებელში კრებაა, ამხანაგებს სთხოვენ კრებას დაესწრონ.

— 1 დეკემბერს, 1918 წ, დილის 9 საათზე რკ. გზ. სამართველოში ელისაბედის ქუჩა № 73 მოხდება 5 რაიონის კოლექტივის ს. დ. პარტიული კრება. წინადან ფრიად საჭირო საკითხებია გასარჩევი, გთხოვთ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ დაესწროთ კრებას.

### პროვინციის ქრონიკა.

გურია. შალვა სპ. არომიძე აუწყებს გურიის იმ სოფლებს, რომლებისგანაც ის იყო რწმუნებული ამის შესახებ, რომ „ქვიანის ბაქანი“ (ბათუმის შტოს მეცხრამეტე ვერსტი), საქართვ. რესპ. გზათა სამინისტროს დადგენილების თანახმად სახაზინო ხარჯებზე უკვე მოეწყო და მატარებლებიც ჩერდებიან.

## რკინის გზაზე

ამ რამდენიმე დღის წინათ სადგურ გრაკალში მგზავრებმა, რომლებიც თფილისში წასვლას აპირებდნენ და მატარებლის მოსვლას უცდიდნენ, სადგურის უფროსს განუცხადეს, რომ სადგურის მწონელი იგივე ბარგის დახლიდარის მოვალეობის აღმასრულებელი ბ. ი. ტატიშვილი მათ ახდევინებს ბარგის გაგზავნაში ზედმეტ ფულს, ვინემ ეს დაწესებულია კანონის ძალითი. სადგურის უფროსმა მოისმინა რა ასეთი განცხადება, მიაქცია ყურადღება ხსენებულ გარემოებას და შეუდგა საქმის გამოძიებას. წაიყვანა თან მომჩივრები მწონელ ტატიშვილთან, გაშინჯა წიგნები და აღმოჩნდა რომ ზემოხსენებულ პირს უკანონოთ აეღო ხაბლოვებით 45 მანეთამდე, რომელიც სადგურის უფროსმა კუთვნილებისამებრ დაუბრუნა მომჩივრებს. რკინის გზაზე დღესაც ბევრი სხვადასხვა ჯურის ძველი ბოროტი სული არის. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. საჩქარო მატარებელში, ნომერ 2 ში, შეცდომით ჩაჯდა ერთი რკინის გზელი, რომელიც სადგურ გორიდან თფილისში მიემგზავრებოდა, რადგანაც ხსენებულ მგზავრს წლიური ბილეთი ჰქონდა მეორე კლასის და მას არა სცოდნოდა, თუ ის საჩქარო მატარებელი იყო და მას თავის ბილეთით უფასოთ მგზავრობა არ შეეძლო, იგი დასთანხმდა, ამისათვის გადაეხადა ორმაგი ფასი თანახმად რკინის გზაზე არსებული წესდებისა. ასეთი თანხმობა მან განაცხადა მატარებლის მხლებელთან ბ. ბ. კვანტალიანთან და მახარაძესთან. იმ მატარებლის უფროსათ გახლდათ ბ. ივანე ჯაიანი, რომელმაც არც კი დააცალა სიტყვის მობრუნება უბილეთო რკინის გზელს, რომ დაუწყო ყვირილი შემდეგი სიტყვებით: „მე თქვენ სუყველას ზიზღით გიცქერით; თქვენ დაძვრებით კომიტეტებში, რომლებმაც შეჭამა მომინდომეს და დღესაც შეჭამს მიპირებს, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხეს ესო“. განა მარტო ტატიშვილი და ჯაიანი არის ასეთი, რა თქმა უნდა სხვებიც ბევრია, თუ ყურადღებას მივაქცევთ სადგურების ბილეთების დახლიდარების საქციელს, რომლებიც სხვადა სხვა ხრიკების საშვალებით არავითარ სისაძაგლეს არ ერიდებიან.

თვითმპყრობელობის დროს ამგვარ ბოროტმოქმედობას რკინის გზაზე მასიური ხასიათი ჰქონდა და სწორეთ დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვდა რკინის გზის მოსამსახურეთა გაცხრილვას და ყველა ამგვარი მავნე ელემენტებიდან გაწმენდას. მაგრამ რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო მაშინ ასეთი ნაბიჯის გადადგმა მეტათ ძნელი და მოუხერხებელი იყო, ამისათვის, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ჩვენი რკინის გზა საგრძნობლათ დამატარავდა შექმნილმა მდგომარეობამ იძულებული გახდა გზის სამმართველო მოეხდინა მოსამსახურეთა შტატის შემცირება, რამდენათაც ამას მოითხოვდა ხსენებული გზის დაპატარავება. სწორეთ ამ დროს რკინის გზის სამმართველოს მიეცა საუკეთესო შემთხვევა მოსამსახურეთა შტატის შემცირების დროს, მოეხდინა მოსამსახურეთა გაცხრილვა. მართლადაც ცენტრალურმა კომიტეტმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეთანხმებით და საერთო აღმასრულებელ კომიტეტების დახმარებით მოახდინა რკინის გზის მოსამსახურეთა შტატის შემცირების დროს მათი გაცხრილვაც. რკინის გზა ყველა მავნე ელემენტებისაგან გაიწმინდა.

მიუხედავათ ყველა ამისა ჩვენდა საუბედუროთ, ზოგიერთი ჩვენი რკინის გზის ადმინისტრატორების წყალობით, დიდი უმრავლესობა იმ მავნე და არა სასურველ პირებისა, რომლებიც მაშინ იქნა გაძევებული რკინის გზიდან, დღეს ისევ სამსახურში არიან მიღებულნი და ძველებურათ განაგრძობენ თავიანთ საგმირო საქმეებს. აქედან სრული საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ის ადმინისტრატორები, რომლებმაც ასეთი პირები სამსახურში მიიღეს და დღეს იღებენ პირდაპირ ოპოზიციონურ პოლიტიკას აწარმოებენ ყველა იმ რევოლიუციონურ ორგანოთა წინააღმდეგ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შტატის შემცირებაში და მოსამსახურეთა გაცხრილვაში. და თუ ასეთ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა თავისთავად ცხადია, რომ ბოროტმოქმედება რკინის გზაზე არამც თუ მოისპობა, არამედ პირიქით ის ეპიდემიური ხასიათსაც მიიღებს მომავალში. იანი.

## მუშათა შორის

სენაკი. როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველთ უკვე მოეხსენება, ქ. ახალსენაკში დაახლოვებით ამ 5—6 თვის წინად გაიხსნა საღამოს სკოლა მცირეწლოვან ნოქართათვის. ისტორია მისი არ არის რთული. ინიციატივა სკოლის დაარსებისა ეკუთვნის ადგილობრივ მუშა ქალთა ორგანიზაციას. აუღო-რა ალღო ხსენებულმა ორგანიზაციამ იმ გარემოებას, რომ არსებულ პირობებში 8 საათის სამუშაო დღე მცირეწლოვან ნოქართათვის არამც თუ რაიმე სარგებლობის მომტანია, პირიქით, საზიანოა კიდეც: თავისუფალ დროს ბავშვები ბოროტად იყენებენ, ბანქოს თამაშობენ და სხვ. განიზრახა დაარსებია ზემოხსენებულ ტიპის სკოლა, რომელიც მისცემდა მათ, როგორც კლასიკურ, აგრეთვე ზნეობრივ აღზრდასაც, მიუხედავათ სხვადასხვა გვარ დაბრკოლებებისა, ორგანიზაციამ თავის წევრთა ენერგიის მეოხებით, განზრახვა სისრულეში მოიყვანა კიდეც. ცხადია, მას დახმარება გაუწია ადგილობრივ დემ. თვითმართველობამ და ადმინისტრაციამ. დაბრკოლება იყო მატერიალური ხასიათის და უმთავრესად კი იმ ზოგიერთ კონსერვატორ „ხაზეინების“ მხრივ, რომელნიც ჯერ კიდევ სიბნელის მორევში იხრჩობიან, ჩარჩობის მეტი არაფერი გაეგებათ და დღემდე სწავლა-განათლების მნიშვნელობა ვერ შეუგნიათ.

დახმარების მაგიერ ასეთი ჯურის „ხაზეინები“ ნოქრებს ემუქრებოდნენ დათხოვნით სამსახურიდან იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაესწრებოდენ სკოლაში სიარულს მაგრამ, საბედნიეროდ, მათმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო. იმდენათ შესძლეს ხსენებულ ორგანიზაციის მასწავლებლებმა ბავშვებთან დაახლოვება, რომ თუ იქნებოდა ისეთი შემთხვევა დუქნის პატრონი ბავშვს არ გამოუშვებდა, ის მაინც შესძლებდა გამოპარვას მასწავლებელთან და საქმის ვითარების გაზიარებას, რის შემდეგ უკანასკნელიც ღებულობდა შესაფერ ზომას. ამნაირად მოიყარა თავი 40-დე ბავშვმა. ცოდნის მიხედვით დაყოფილ იქნა 3 ჯგუფათ სადაც პროგრამა შეფარდებულია ადგილობრივ სკოლებთან და სისტემატიურათ სწავლა სწარმოებს ყოველ დღე. დაქირავებულია 2 მასწავლებელი—მხოლოდ ორი თვეა, მანამდის კი ორგანიზაციის დაინტერესებულნი პირნი უსასყიდლოდ ამეცადინებდენ, რომელნიც ამჟამათ სენაკში არ იმყოფებიან.

ნოქრებთან ერთად მეცადინეობენ რამდენიმე ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ფეხის მწმენდელნიც. გული სიამით გევსება, როს უმზერ ასეთ სურათს: ფეხ-შიშველა, ქუდ-მოგლეჯილი, პაწია არსება დაკონკილ ტანისამოსში ერთის ხელით ყუთს მიათრევს, ხოლო მეორეთი ზედაქნას და მკვირცხლი სახით მიცუნცულებს სასწავლებელში. ერთის შეხედვით თითქოს დარწმუნებული, თუ რა ძნელია ამ პაწაწალათა შესმენა, გიკვირს პირდაპირ რა ადვილათ ითვისებენ ყველაფერს. ვინ უწყის, როგორია მათი მომავალი ერთი კი ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მოვლენა სიმპატიური და სასურველია: „დაუსრულებელ“ ქმნილებათა დასრულების საქმეში ხელის შეწყობა. დარწმუნებული ვართ ორგანიზაცია ასეთ დიად საქმეს ჩვეულებრივ ენერგიით გაუძღვება; ვიმედოვნებთ აგრეთვე ერობა მას არ მოაკლებს თავის წყალობას მატერიალურის მხრივ და მასთან კერძო პირნიც გაიღებენ თავიანთ წვლილს ნორჩ შკოლის გასაძლიერებლათ, რომელთაც კი აინტერესებთ დაქირავებულთა სვე-ბედი. ყოველგვარი შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი—გოგუცა გამსახურდიას.

დახელი ქალი.

ტფილისი. გამგეობა პროფესიონ. კავშირისა რესტორანების, კლუბების და სხვა მოსამსახურეთა ხელმეორედ აცხადებს თავიანთი წევრების საყურადღებოთ, ვისაც აქვთ შემოსატანი საწევრო გადასახადი და ვალები შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებიან გამორიცხული კავშირიდან.

გამგეობა.

## ს.-დემ. პარტიაში

ქ. თფილისი. 26 ნოემბერს, მოხდა საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 17 წევრი. დღის წესრიგში იყო კითხვები; 1) პროპაგანდისტთა ჯგუფის შედგენა, 2) კომიტეტის მიერ ჟურნალ „პირველ ნაბიჯის“ თავის თავზე აღება და გამოცემა, როგორც პარტიის ორგანოსი, 3) ბიბლიოთეკა, 4) ქალთა ორგანიზაცია.

კრების გახსნის შემდეგ, მდივანი აცნობს კრებას ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას პარტიული საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ. მომავალ წლის პირველ იანვრიდან თვიური საწევრო გადასახადი იქნება ერთი მანეთი და ათი შაური, ერთდროული—3 მან. ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ პარტიული ორგანიზაციები იხდიან თვეში ყოველ წევრზე 30 კაპ.

ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგნენ მომავალ საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლად ყოველ პარტიის წევრზე ერთი დღის სრული ნამუშევარის მოკრებას.

პროპაგანდისტთა ჯგუფის დაარსების შესახებ კომიტეტმა დაადგინა: დაევალოს რაიონებს მოაწყონ პარტიული სხდომები, სადაც გაკეთდეს მოხსენება ამ კითხვაზე. თფილისის კომიტეტი კი ვალდებულად ხდის ყველა პროპაგანდისტებს პირველ მიმართვისამებრ აასრულონ კომიტეტის მოთხოვნილება.

ყოველკვირეული საკუთარი ორგანოს ქონების შესახებ, კომიტეტმა დაადგინა: რომ დღევანდელ პირობებში მას შეუძლებლად მიაჩნია რაიმე ჟურნალის თავის თავზე აღება ან ახალის გამოცემა.

საკითხები მე-6 რაიონის ქალთა ორგანიზაციის და ბიბლიოთეკის შესახებ გადაეცა პრეზიდიუმს წინასწარ განსახილველად.

კომიტეტის მდივანი.

## პროვინცია

ფოთი. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ კრებაზე დადგენილ იქნა—შემოიღონ გადასახადი ღვინოზე და სხვა სპირტულ სასმელებზე. მოსალოდნელია ამ გადასახადებისა-

გან ქალაქის კასაში თვეში არა ნაკლებ 40.000 მან., თუ კი საქმე რიგიანათ მოეწყო.

— ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა 6 კაცისაგან შემდგარი ქალაქის საარჩევნო კომისია, რომელიც ჯერ შეუდგა მუშაობას.

— ქალაქ. საბჭომ დაადგინა, შეუდგეს მაშველების და შენობების შეფასებას, რომ ამის და მიხედვით, დაწესდეს გადასახადები.

— ქალების გიმნაზიის უფროსად დაინიშნა ქ-ნი თეოდოსია კორძაია.

— ქალაქი შეუდგა მილიციის სამმართველოს რევიზიას.

— ნოემბრის 21, ავსტრია-უნგრეთიდან ჩამოვიდა 500 ტყვე ჯარისკაცი ქართველები, რუსები და სომხები.

— თითქმის ორი კვირის განმავლობაში მქროდა ძლიერი მშრალი ქარი, რომელიც შეცვალა 18 ნოემბერს წვიმით.

— ამ დღეებში კიევიდან მოასვენეს იქაურ კომერციულ აკადემიაში სწავლა დამთავრებულს, ახალგაზრდა ვალიკო ფაშაკიძის გვამს. ცხედარს ფოთიდან წაასვენებენ თავის სამშობლოში, დიდ-ჯიხაიშში დასაკრძალავად. განსვენებული იყო კიევის ქართველების კოლონიის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი და სახელი და პატივისცემა მოიხვეჭა კიევის მუშებში და სტუდენტებში თავისი მხურვალე მონაწილეობით რევოლუციაში.

შ.

---

ხ. ლიხა. (გურია) ამ სოფელში არის კარგა ხანია დაარსებული აგრეთვე სოფლის ხარჯით, რკინის გზაზე ბაქანი (პლატფორმა), არის ორ კლასიანი სასწავლებელი, აქვთ წიგნთ-საცავ-სამკითხველო მშვენიერ საკუთარ ქვის შენობაში, კარგ ნიადაგზე დაყენებული კოოპერატივი, ეპირებიან სახალხო სახლისთვის მშვენიერი სახლის აშენებას, რის ფონდისთვის დღეისთვის უკვე მოგროვილია ხუთი ათას მანეთზე მეტი, იმართება ხშირ-ხშირათ წარმოდგენები და სხვა. მაგრამ ყველა ზემო ჩამოთვლილს ჩრდილავს ის, რაზედაც მე მინდა გესაუბრო ამ წერილში; 12 წელზე მეტი იქნება, რომ ამ სოფელში არსებობს აფთიაქი. ეს აფთიაქი ამა წლის 15 ენკენისთვიდან ლესის ხალხმა შეიძინა 15 ათას მანეთად (რამოდენიმეთ სოფელ შინათიდანაც შემოვიდნენ წევრებათ) და გახადა საზოგადო სახალხო აფთიაქათ. ძველ შეუფერებელ ადგილიდან გადმოიტანა და შუაგულ ცენტრში მშვენიერ ადგილის საუცხოვო ქვის შენობაში კოოპერატივის „იმედის“ გვერდით. არჩეული ჰყავთ 7 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რომლებმაც მოიწვიეს აფთიაქის ხელმძღვანელებათ ფრიად პატიოსანი პირნი; ის ნაკლი, რაც ძველი პატრონის ხელში ჰქონდა ამ აფთიაქს, დღეს ყველა აშორებულია, მხოლოდ უმთავრესი ნაკლულევანება, ეს წამლის უქონლობა, რაც საზოგადო მოვლენაა დღეს, მაგრამ იმედია ესეც დაძლეულ იქნება. აფთიაქი ცდილობს, ხალხს მიაწოდოს წამალი სალი, ახალი, და რიგიან ფასებში. ერობისგან ვთლით დიდ დახმარებას წამლების შეძენის საქმეში, მხოლოდ რამოდენიმე კერძო პირები, ზოგი შურით და ზოგიც კერძო მტრობით ავრცელებენ ცუდ ხმებს, რომ ამ დიდ საქმეს ძირი გამოუთხარონ და სახელი გაუტეხონ, მაგრამ ახსოვდეთ ამ ვაჟბატონებს, რომ მიზანს ვერ მიახწევენ და ხალხი თავისას გაიტანს, და მათ თუ კი არ დაუშლიათ ეს საზიზღარი ხელობა, იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოვამზეუროთ.

დ. კუნჭულია.

## ბრძოლა ბოროტგამზრახველებთან

ამას წინად თფილისში და მის მახლობლად მომხდარი ამბები ცუდი ფიქრების აღმძვრელია. ბოროტგამზრახველები, რომლებმაც ძველის ხიდის აფეთქების შემდეგ ვერის დაღმართის ხიდისა და თფილისის ტრამვაის ცენტრალურ ელექტ. სადგურის აფეთქება განიზრახეს, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ. ირკვევა, რომ ბნელი ძალების ხელი ასეთ საქმეში სისტემატიურათ ურევია. ეს ბნელი ძალები ცდილობენ წყლის ამღვრევას და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წყობილებისათვის სახელის გატეხას. მათი მიზანია—ხალხის გული გაუტეხონ ახალ წყობილებაზე, იგი უწესოების ბუდეთ მოაჩვენონ და ასე მოამზადონ ნიადაგი ძველი წყობილებისათვის აშკარა გამოსასვლელათ და რესპუბლიკის დასანგრევათ.

ელემენტები ასეთ გამოსვლისათვის მომზადებულია ბევრნაირია.

განა იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შვენების ხანაშია, როდესაც ყოველ მხრივ გაძლიერება და აყვავება ესაჭიროება შესაძლოა კი რკინის გზებისა, ხიდებისა და ელექტრონის სადგურების, რომლებიც ასე უსაჭიროესს საგანს შეადგენს, სახელმწიფოსათვის—დარბევა და აფეთქება? განა, შეიძლებოდა ეს, რომ მათ გათვალისწინებული არ ჰქონოდათ ნაშლილი შედეგები თავიანთ მოქმედებისა და მათი მავრაზმული გამოსვლებისა? პირველი და მთავარი ბარიერი ასეთი ბოროტ-გამზრახველების წინააღმდეგ საბრძოლველად არის უსასტიკესი ზომების მიღება ჩვენი მთავრობის მიერ მათ და მავრაზმელების ასალაგმავათ. მაგრამ მთავრობა უძლურია აწარმოოს ფართე მოქმედება ამ ასპარეზზე, თუ მასა, დემოკრატია და მუშა ხალხი მას ამ საქმეში გვერდში არ უდგას და არ ეხმარება. ეს კარგათ უნდა შეიგნოს განსაკუთრებით დემოკრატიამ. ამიტომ შეგნებულმა ნაწილმა დემოკრატიისამ და იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც სრული ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში, და რომელთაც ღრმათ აქვს თვით ხალხში ფესვები გადგმული და მასი სრული ნდობა აქვს დამსახურებული, თვალყური უნდა ადევნონ ბოროტ-გამზრახველებს, რომ მათ წინააღმდეგ დაუყოვნებლივი და ფიცხელი ზომების მიღება შესაძლებელი შეიქნეს და უწესოების ჩამდენი შესაფერი განაჩენი გამოუტანონ და სამართლიანი მიზეზე გააკრან. მხოლოდ მათი მონაწილეობით და დახმარებით შეუძლებს ჩვენი მთავრობა სათანადოთ ამუშაოს სახელმწიფო აპარატი. გვახსოვდეს, რომ წყალს ძალი მოუდგა და მტერს კი არა.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## ნაძალადევი

ნაძალადევი ძველი მთავრობის მიერ თავხედ ადგილათ იყო მიჩნეული და ამიტომ ყოველთვის დამსჯელ რაზმს გზავნიდნენ „ბუნტოვშჩიკების“ მოსარჯულებლათ". რევოლუციამ დაამტკიცა, რომ ნაძალადევი თუ დიდხანს, მთავრობას უკმაყოფილობას უცხადებდა, ეს იმიტომ, რომ მას არ მოსწონდა მთავრობის მოქმედება. დღეს ნაძალადევი პირველ რიგში დგას რევოლუციისა და თავისუფლების დასაცავათ და არავითარი ანარქიული გამოსვლები ნაძალადევმა არ იცის.

ნაძალადევის შვილები პირველნი გამოვიდნენ თავისუფლების დასაცავათ, როცა გახელებული ჯარისკაცები თფილისს ემუქრებოდნენ.

ერთი დამცველთაგანი არის რევოლუციის, მუდამ დარაჯობს, რომ ბინძურმა არ შეუბღალოს მისი წმინდათა წმინდა.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ნაძალადევის შრომა და მოღვაწეობა. მან საძირკველი ჩაუყარა ნაძალადევში კულტურას. ის აშენებს საუცხოვო შენობას სახალხო სახლისთვის.

უმთავრესი უკვე გადახურულია. გიკვირს როცა ხედავ ამ შენობას, პატარა ნაძალადევმა როგორ გაბედა ამ ხაძვირეში ასეთი საქმის დაწყება. მაგრამ ვინც ნაძალადევს იცნობს, მას არ გაუკვირდება ეს ნაბიჯი.

აქვე ამ შენობის გვერდით, ძველ თეატრში სადამოობით იმართება სისტემატიური ლექციები.

ჩვენ, ჯერ კიდევ ძველი მთავრობის დროს ვმართავდით ნაძალადევში ლექციებს, თუმცა ათასი დაბრკოლებები გვეღობებოდა წინ. დღეს, როცა მუშები თავისუფლები არიან, ერთი წუთიც არ უნდა დაკარგონ უბრალოთ, და თავისუფალი დრო შეგნების განვითარებას მოახმარონ!

სამწუხაროთ არ კმარა მარტო ლექტორების სიტყვები. თუ გვინდა შევითვისოთ ლექციები, ლექციებთან ერთად ვიკითხოთ წიგნები. საუბედუროთ ქართულ ენაზე ძალიან ცოტა პოლიტიკური წიგნებია გასაყიდათ. თუ შეხვდებით მხოლოდ სამკითხველოებში. ბევრ სამკითხველოებიდან სულ გადევნილი იყო ასეთი წიგნები. ნაძალადევის სამკითხველო ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია. თითქმის ყველა იმ პოლიტიკური ბროშურები და წიგნები, რაც კი გამოიცა პირველ რევოლუციის დროს.

ქვაყუდელი.

## ფონდი

გულდათუთქული, ცხარე ცრემლებს ვაფრქვევ ჩემ ბიძაშვილ, ლ. ლეკიშვილის ცხედარს და მისი ხსოვნის აღსანიშნავად გაზ. „ერთობას“ ვწირავ 15 მანეთს.

ხეფ. ლეკიშვილი.

## ფოსტა

მე 6 რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი სთხოვს კოლიას წულუკიძეს შეიაროს ბიურო ბინაზე ამ დღეებში.


გახსნილია
**კერძო სამკურნალო**
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი ხირურგიული ავადმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97.
ავადმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი ქალი
**ე. ხ. ქარუმიძე—მიხურიშვილი.**
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბჭოთ დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და ივანოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი ივანოვის ქუჩიდან.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

კბილის საექიმო კაბინეტები
**თედორა საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

**ექიმი დ. ი. ჯაჯანიძე**
მკურნალობს შინაგანის, კუჭის, ნერვების და ქრონიკულ სნეულებებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე საღამოს 5—7 ნიკოლოზის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებათა, სქესობრივი და საშვილოსნოს ანთებებით. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმინოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ყორღანაია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ქრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სავიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი
**ა. გ. მაჭავარიანი**
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ვეღის ტელ. № 49.

ექიმი ნიკოლოზ ძმანის ძე
**მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით" (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზუბალის აფთიაქის პირდაპირ.

**საჭიროა ძიძა** იკითხეთ: ნაძალადევი ფარკოფელის ქ. № 23 სახლი მინდიაშვილისა. პირობების გაგება აქვე შეიძლება ყოველთვის.

ექიმი
**დ. ზ. [illegible]**
იღებს ავადმყოფებს დილის 2—4 საათ. ნაძალადევში [illegible] № 9. (12—1)

**დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“**
კვირას, 1 დეკემბერს, 1918 წ.
დემოკ. კლ. არსებულ ქარ. სახ. წარ. მმართვ. წრე. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა
**ქრისტინე**
დრამა 4 მოქმედებად ირეთელისა.
ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში, საღამოს 5—8 საათამდე.
ბილეთების ფასი სახალხო. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.
ორშაბათს, 2 დეკემბერს, სახალხო სახლის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით
**ხანუმა**
კომედია 4 მოქმ. ა. ცაგარელისა.
მონაწილეობენ: ს. ანკარა, ნ. ჯავახიშვილისა, ს. რომ. დგებუაძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი და ვ. რატიშვილი.
დასაწყისი 7 საათზე. რეჟისორი * * *
შემდეგი წარმოდგენა 7 დეკემბერს.

**გერმანულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი**
გოლოვინის პროსპექტი არამიანცის სახლი
**ბანკმა დაიწყო მოქმედება 30 ნოემბერს 1918 წ.**
აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს თანახმად ბანკის წესდებისა. (2—1)

**სახელმწიფო თეატრი**
ოპერა.
კვირას, 1 დეკემბერს, დილით შვამბერგის, მოლჩანოვის, ვრონსკის, ინაევის მონაწილეობით
I „ჯამბაზები“ („პაიაცი“)
II „ქორწინება უკრაინაში“
დასაწყისი დღის 12 საათზე.
საღამოთი: ალეშკოს, ზალიმსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით
**„დუბროვსკი“**
დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.
ანონსი: სამშაბათს 3 დეკემბერს „ქ-ნი ბატერფლაი“ და „პრივალ კავალერიი“ (ბალეტი) ოთხშაბათს 4 დეკემბერს „მოცარტი და სალიერი“ და „სევილიელი დალაქი“ ხუთშაბათს 5 დეკემბერს „ჰუგენოტები“.

**ბოსტნეული კონსერვები**
კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საოპერაციო ბიუროსთან
**იყიდება ბოსტნეულის კონსერვები**
შეზავებული („ფარშიროვანი“) ბადრიჯანი, პამიდორი, წიწაკა, შემწვარი ბადრიჯანი, ბადრიჯნის ხიზილალა, „გოლუბცი“, „სოლიანკა“ და სოუსით შეზავებული ბადრიჯანი. კონსერვები დამზადებულია თფილისის სამეურნეო სკოლასთან არსებულ საკონსერვო ფაბრიკაში საგანგებო სპეციალისტის ხელმძღვანელობით. ბითუმად მყიდველს 100 ქილი დაუჯდება 450 მან. ცალობით კი ეღირება თითო ქილა 5 მან. (3—1)

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.
**სახალხო სახლი.**
კვირას, 1 დეკემბერს, ქ 6 ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
**მეზობლები**
დრ. 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ქ. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ქ. ქილარჯიშვილი, იანქოშვილი, ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, ფირაშვილი, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ნინოშვილი, ბ. თავდგირიძე, გ. თალაკვაძე, ნ. ჭანკვეტაძე.
დასაწყისი საღ. 7 საათზე. ბილეთების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარმოდგენა 7 დეკემბერს. რეჟისორი ი. ხარებელი.

ნიკოლოზ სიმონის ძე მეტეხელი ამ რამდენიმე თვის უკან წავიდა ქ. ფოთში და მას შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია, ვსთხოვთ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: კარუზოვის შესახვევი, № 11. თამარა მეტეხელს. (3—3)

**შაქარი**
თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს თფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან მოქალაქეთ დაურიგდებათ ერთდროულად ორი თვის (ნოემბრის და დეკემბრის) შაქარი. შაქრის ნორმა და ფასი იგივე იქნება რაც გასულ ოქტომბრის თვეში იყო. რაიონულ კომიტეტებს და კოოპერატივებს კი შეუძლიათ მიიღონ შაქრის მისაღები ორდერები ხუთშაბათიდან, 28 ნოემბრიდან, საჭირო თანხის წარდგენის შემდეგ. (3—2)

საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს
**სეკრეტარიატი,**
რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვაზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. ბიურო ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 5—8 ს. ტელეფ. № 16—62.

იბეჭდება და მალე გამოვა ამხანაგობა „გლობუსის“ გამოცემა
**1919 წ. დემოკრატიული კალენდარი 1919 წ.**
კალენდარში, ჩვეულებრივი საკალენდარო ნაწილის გარდა, მოთავსებული იქნება შემდეგი განყოფილებები შედგენილი შემდეგი ავტორების მიერ: პოლიტიკური და ისტორიული დავ. ონიაშვილი და ლევ. ასათიანი, საექიმო ივ. გომართელი, სამეურნეო ტიმოფეევი და ვაცაძე, სალიტერატურო ეშმაკი. მოთავსებული იქნება აგრეთვე საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების სურათები.
კალენდარი დაახლოვებით ეღირება 8 მან. აგენტებმა და წიგნის მაღაზიებმა ეხლავე უნდა დაგვიკავშირდნენ—ვის რამდენი უნდა—რადგანაც ბევრი არ დაიბეჭდება. საწყობი—კანტორა „განათლება“-ში, ოლღას ქ. № 6, ტელეფ. 8—44. (3—3)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი. № 1.